

## კურიკულუმი

<b>ფაკულტეტის დასახელება</b>	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
<b>პროგრამის დასახელება</b>	კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპია <b>Communication, Language and Speech Therapy</b>
<b>სწავლების ენა</b>	ქართული
<b>მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი</b>	ენისა და მეტყველების თერაპიის მაგისტრი <b>Master of Language and Speech Therapy</b>
<b>პროგრამის ხანგრძლივობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)</b>	4 სემესტრი/120 კრედიტი
<b>პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი</b>	პროგრამა შემუშავებულია 2016 წელს და განახლებადია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

### პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)

კონკურსანტს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; ასევე კონკურსანტმა უნდა ჩააბაროს შესაბამისი ტიპის საერთო სამაგისტრო გამოცდები და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ფარგლებში კონკურსანტმა უნდა გაიაროს ტესტირება ინგლისურ ენაში (B2 დონე) და ზეპირი გამოცდა დარგობრივ კომისიასთან.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდისა და მისი შეფასების კრიტერიუმები, ასევე სხვა დამატებითი ინფორმაცია განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე [www.iliauni.edu.ge](http://www.iliauni.edu.ge).

### პროგრამის მიზნები

სამაგისტრო პროგრამის მიზანია საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით მოამზადოს კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების კვალიფიციური თერაპევტი, რომელიც შეძლებს კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების სირთულეებისა და დარღვევების იდენტიფიცირებას, შეფასებას, ინტერვენციის გეგმის შედგენას და განხორციელებას, კონსულტირებას ბავშვებსა და მოზრდილებში, ინკლუზიური პრაქტიკის ხელშეწყობას, კვლევას და ცოდნის გავრცელებას.

პროგრამის კვლევითი კომპონენტი ორიენტირებულია ქართული ენის თავისებურებების შესაბამისი შეფასების მეთოდებისა და ინტერვენციის მიმართულების შესწავლასა და პრაქტიკაში დანერგვაზე.

### სწავლის შედეგები და კომპეტენციები (ზოგადი და დარგობრივი)

#### ცოდნა და გაცნობიერება

სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული დაუფლებული იქნება:

- კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის რეგულაციის საერთაშორისო სტანდარტების, პროფესიული ეთიკის სისტემურ ცოდნას;
- ენისა და მეტყველების თერაპიის თეორიული მოდელების და თანამედროვე პრინციპების ღრმა ცოდნას;
- განვითარებისა და განათლების ფსიქოლოგიური თეორიების სისტემურ ცოდნას;
- კომუნიკაციაზე, ენასა და მეტყველებაზე მოქმედი ფსიქიკური განვითარებისა და ცენტრალური ნერვული სისტემის სხვადასხვა სახის დარღვევების შესახებ სისტემურ ცოდნას;
- კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების სხვადასხვა სახის დარღვევის იდენტიფიკაციის, შეფასებისა და ინტერვენციის მიმართულების და მეთოდების ღრმა და სისტემურ ცოდნას, როგორც ბავშვებში,

ასევე ზრდასრულებში;

- სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებთან კომუნიკაციის დამხმარე და ალტერნატიული ტექნოლოგიების შესახებ სისტემურ ცოდნას;
- კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის სფეროში კვლევის თანამედროვე მეთოდებისა და პრინციპების ცოდნას; გაცნობიერებული ექნება კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის სფეროში კვლევის მნიშვნელობა;
- მტკიცებულებებზე-დაფუძნებული პრაქტიკის ძირითადი კონცეფციების შესახებ სისტემურ ცოდნას;
- შეზღუდული შესაძლებლობებისა და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადამიანების/მათი მშობლების/მეურვეებისა და მომიჯნავე დარგის სპეციალისტების კონსულტაციასა და მხარდაჭერის მოდელების სისტემურ ცოდნას.

### **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს:

- კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების სხვადასხვა სახის დარღვევებისა და სირთულეების იდენტიფიკაციას, შეფასებას, ეფექტური ინტერვენციის გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას როგორც ბავშვებში, ასევე ზრდასრულებში;
- დიფერენცირებული ინსტრუქციების გამოყენებას განსხვავებული შესაძლებლობებისა და საჭიროებების მქონე ადამიანებთან მუშაობისას;
- მულტიდისციპლინურ ჯგუფთან ერთად კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების სიმძნელების მქონე ადამიანის საჭიროებების ანალიზს, შესაბამისი ინტერვენციის დაგეგმვას, განხორციელებასა და მონიტორინგს;
- კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების პრობლემის მქონე პირების, მათ მშობლებს/მეურვეებს და სხვა მომიჯნავე დარგის სპეციალისტების კონსულტირებას;
- სამეცნიერო მნიშვნელობის კვლევის დაგეგმვასა და განხორციელებას კონკრეტული საკვლევი კითხვის შესაბამისად.

### **დასკვნის უნარი**

სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს:

- სხვადასხვა კონტექსტში პირის სპეციალური ენობრივი და სამეტყველო საჭიროებების შესახებ ფრაგმენტული ინფორმაციის სინთეზისა და პრობლემის გადაჭრის ინიცირებას;
- მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღებას;
- კვლევის საფუძველზე მიღებული მონაცემების ანალიზსა და ინტერპრეტაციას, დასაბუთებული დასკვნების გაკეთებას;
- საგანმანათლებლო/თერაპიული გარემოს მორგებისა და ორგანიზების სტრატეგიულ გეგმების შემუშავებას არსებული ინფორმაციის ანალიზისა და ორიგინალური სინთეზის გზით.

### **სწავლის უნარი**

სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს:

- სწავლის პროცესის თავისებურებების, ცოდნის მიღების საკუთარი სტილისა და შესაძლებლობების გაცნობიერებას, და შესაბამისად, სწავლის პროცესის სტრატეგიულად და დამოუკიდებლად დაგეგმვას და ამ გეგმის განხორციელებას;
- პროფესიული უნარ-ჩვევების განახლება-განვითარებისთვის რესურსების მოძიებას;
- დროისა და რესურსების ეფექტურ მართვას.

### **კომუნიკაციის უნარი**

სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება:

- აკადემიური სტილის დაცვით ზეპირი და წერიტი კომუნიკაციის, მათ შორის დისკუსიის უნარი

აუდიტორიის (სტუდენტური, პედაგოგთა, პროფესიული თემი) თავისებურებების გათვალისწინებით ქართულ და ინგლისურ ენებზე;

- კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების სირთულის მქონე პირებთან და მათ მეურვეებთან კომუნიკაციის, რაპორტის დამყარებისა და ინფორმაციის მიღების (გამოკითხვა, ინტერვიუ) უნარი;
- პროფესიულ ურთიერთობებში პროფესიულ ეთიკაზე დაფუძნებული კომუნიკაციის უნარი;
- ჯგუფში, მათ შორის მულტიდისციპლინურ გუნდში, მუშაობის უნარი.

### ღირებულებები

სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება:

- შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საჭიროების მქონე პირთა თანასწორობის აღიარებისა და მათთვის დახმარების ყველა დონეზე თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის უნარი;
- განსხვავებული აზრისა და შეხედულებების პატივისცემის უნარი;
- პროფესიული პრაქტიკისა და კვლევის განხორციელების ყველა საფეხურზე პროფესიული ეთიკის დაცვის უნარი;
- დისკრიმინაციისგან თავისუფალი საგანმანათლებლო/თერაპიული გარემოს შექმნის უნარი;
- ნებისმიერ სასწავლო/თერაპიულ გარემოში ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ღირებულებების ხელშეწყობის უნარი.

### სწავლების მეთოდები

სამაგისტრო პროგრამაში გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები:

- ვერბალური მეთოდი;
- დემონსტრირების მეთოდი;
- წერითი მეთოდი;
- სიტუაციის მოდელირება და როლური თამაშები;
- შემთხვევის ანალიზი (case studies);
- ინდივიდუალური და ჯგუფური პროექტი;
- ჯგუფური მუშაობა;
- როლური თამაში;
- გონებრივი იერიში;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
- პრაქტიკული მეთოდი;
- თვით-რეფლექსია;
- დისკუსია/დებატები;
- კომპეტენციაზე დაფუძნებული სწავლება;
- სიმულირებულ და რეალურ გარემოში პრაქტიკა (პრაქტიკული მუშაობა);
- ინდუქციური და დედუქციური მეთოდები,
- სუპერვიზია;

### პროგრამის სტრუქტურა

სამაგისტრო პროგრამა კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპია

პროგრამით გათვალისწინებულია სწავლების ოთხი აკადემიური სემესტრი. პირველი სამი სემესტრის განმავლობაში გათვალისწინებულია აკადემიური და თეორიული კურსები, მეორე სემესტრიდან მეოთხე სემესტრის ჩათვლით სტუდენტები გადაიან კლინიკური პრაქტიკის კურსებს, მეოთხე სემესტრში - სამაგისტრო კვლევის/ნაშრომის კომპონენტს. პროგრამის კომპონენტების ურთიერთკავშირი უზრუნველყოფილია კურსებითა და შესაბამისი წინაპირობებით.

- სავალდებულო კურსები - 66 კრედიტი;
- სავალდებულო-არჩევითი კურსები - 18 კრედიტი;

- კლინიკური პრაქტიკის კურსები - 18 კრედიტი;
- სამაგისტრო ნაშრომი - 18 კრედიტი.

## შეფასება

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი

ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში განსაზღვრულია შეფასების შესაბამისი კომპონენტები და კრიტერიუმები.

## დასაქმების სფეროები/შემდგომი განათლების პერსპექტივები

ენისა და მეტყველების თერაპევტების საჭიროება და შესაბამისად, დასაქმების შესაძლებლობა არსებობს:

- 1) ბავშვთა და მოზრდილთა სამედიცინო კლინიკებში, რომლებიც ემსახურებიან წოვის/ყლაპვის, აფაზიის, ენისა და მეტყველების დროებითი და ქრონიკული პრობლემების მქონე პაციენტებს;
- 2) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების და მოზარდების სარეაბილიტაციო ცენტრებსა და დღის ცენტრებში;
- 3) ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამებში - ორგანიზაციებში „პირველი ნაბიჯი - საქართველო“, „საქართველოს პორტიჯის ასოციაცია“, „საქართველოს ბავშვები“, „ნეოროგაბილიტაციის ცენტრი“ და სხვა;
- 4) საქართველოს საბავშვო ბაღებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში;
- 5) კერძო პრაქტიკაში;
- 6) არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომელთა მიზანია სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანების უფლებების დაცვა და ადვოკატირება.

კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ სწავლა გააგრძელონ შემდგომ აკადემიურ საფეხურზე (დოქტორანტურა) როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

## სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს გამოყენებული სასწავლო ფორმატისა და მეთოდების შესაბამის ინფრასტრუქტურას:

- ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული ოთახი ინტერნეტთან და ელექტრონულ ბაზებთან წვდომით;
- ტექნიკურად აღჭურვილი საკლასო აუდიტორიები;
- უნივერსიტეტში არსებული ბავშვის განვითარების ინსტიტუტი, სადაც სპეციალისტების მულტიდისციპლინური გუნდი სხვადასხვა სახის სერვისებს აწვდის სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებსა და მოზარდებს; ინსტიტუტი წარმოადგენს სტუდენტებისთვის პრაქტიკისა და კვლევითი პროექტების განხორციელების ბაზას;
- პროგრამაში მონაწილე პარტნიორი დაწესებულებები („საქართველოს პორტიჯის ასოციაცია“, სტომატოლოგიური კლინიკა „ალბიუსი“, „ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა ცენტრი, ჯაფარიძე-ქევანიშვილის კლინიკა“).

სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა						
სასწავლო კურსები	კომპეტენციების ჩამონათვალი					
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
<b>სავალდებულო კურსები - 66 კრედიტი</b>						
კვლევის მეთოდები ენისა და მეტყველების თერაპიაში	✓	✓	✓	✓	✓	✓
ენისა და მეტყველების ბიოსამედიცინო ასპექტები	✓		✓	✓	✓	
ქართული ენის ასპექტების კვლევა დესკრიფციული და ფუნქციონალური გრამატიკის ჩრდილში	✓	✓	✓	✓	✓	
კლინიკური ლინგვისტიკა	✓	✓	✓	✓	✓	✓
კომუნიკაციის განვითარება და დარღვევები	✓	✓	✓	✓	✓	✓
ენის განვითარება და დარღვევები	✓	✓	✓	✓	✓	✓
ხმისა და მეტყველების მოქნილობის დარღვევები	✓	✓	✓	✓	✓	✓
ორალურ-მოტორული უნარებისა და მეტყველების განვითარება და დარღვევები	✓	✓	✓	✓	✓	✓
კვების დარღვევები	✓	✓	✓	✓	✓	✓
ყრუ და სმენადაქვეითებული ბავშვების ენისა და წიგნიერების უნარების და განვითარების ხელშეწყობა	✓	✓	✓	✓	✓	✓
პროფესიული ეთიკა კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიაში	✓	✓	✓	✓	✓	✓
<b>სავალდებულო არჩევითი კურსები - 18 კრედიტი</b>						
განვითარება და დარღვევები ადრეულ ბავშვობასა და მოზარდობაში	✓	✓	✓	✓	✓	
განვითარების ფსიქოლოგიის აქტუალური საკითხები	✓		✓	✓		✓
ქართული ჟესტური ენის პრაქტიკული კურსი	✓	✓	✓	✓	✓	✓
ალტერნატიული და აუგმენტური კომუნიკაცია	✓	✓	✓	✓	✓	✓

კლინიკური ინტერვიუების პრაქტიკუმი	✓	✓	✓	✓	✓	✓
<b>კლინიკური პრაქტიკის კურსები - 18 კრედიტი</b>						
კლინიკური პრაქტიკა I: კომუნიკაციის შეფასება და ინტერვენცია		✓	✓	✓	✓	✓
კლინიკური პრაქტიკა II: ენის შეფასება და ინტერვენცია		✓	✓	✓	✓	✓
კლინიკური პრაქტიკა III: მეტყველება და ორალურ-მოტორული დარღვევები: შეფასება და ინტერვენცია		✓	✓	✓	✓	✓
<b>სამაგისტრო ნაშრომი - 18 კრედიტი</b>						
სამაგისტრო ნაშრომი	✓	✓	✓	✓	✓	✓

**კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპია  
სალექციო კურსების სია**

#	კურსები	სტატუსი (სავ., სავ./არჩ., არჩ.)	ლექტორი	წინაპირობები	კრედიტი	საონტ. საათები	სემესტრები	
							შემ.	გაზ.
1	კვლევის მეთოდები ენისა და მეტყველების თერაპიაში	სავალდ.	თ. ჭინჭარაული	-	6	45		X
2	ენისა და მეტყველების ბიოსამედიცინო ასპექტები	სავალდ.	ნ. შარაშენიძე	-	6	32	X	
3	ქართული ენის ასპექტების კვლევა დესკრიფციული და ფუნქციონალური გრამატიკის ჭრილში	სავალდ.	ნ. დობორჯგინიძე	-	6	32	X	
4	კლინიკური ლინგვისტიკა	სავალდ.	ნ. იმედაძე, მ. გაბაშვილი-ბუაჩიძე		6	32		X
5	კომუნიკაციის განვითარება და დარღვევები	სავალდ.	ს. დამენი, ნ. გოგოჩაძე, თ. კუხალიაშვილი	-	6	32	X	
6	ენობრივი განვითარება და დარღვევები	სავალდ.	ი. ამარალი, მ. გაბაშვილი/ბუაჩიძე, ნ. ცინცაძე	ქართული ენის ასპექტების კვლევა დესკრიფციული და ფუნქციონალური	6	32		X

				გრამატიკის ჭრილში				
7	კვების დარღვევები	სავალდ.	ა. მატოსი, ნ. რუხაძე	ენისა და მეტყველების ბიოსამედიცინო ასპექტები; ორალურ- მოტორული დარღვევები	6		32	X
8	ორალურ-მოტორული უნარებისა და მეტყველების განვითარება და დარღვევები	სავალდ.	ანა შამათავა, თინათინ ანთიძე		6		32	X
9	ხმისა და მეტყველების მოქნილობის დარღვევები	სავალდ.	ა. არაუჯი, მ. მირცხულავა, ა. ლეკო კრენი	-	6		32	X
10	ყრუ და სმენადაქვეითებული ბავშვების ენისა და წიგნიერების უნარების და განვითარების ხელშეწყობა	სავალდ.	ი. ჰრასტინსკი, მ. ხვადაგიანი	ენისა და მეტყველების ბიოსამედიცინო ასპექტები	6		32	X
11	პროფესიული ეთიკა კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიაში	სავალდ.	ნ.ცინცაძე		6		32	X
12	კლინიკური პრაქტიკა I: კომუნიკაციის შეფასება და ინტერვენცია	სავალდ.	თ. კუხალიშვილი, ნ. გოგიჩაძე	- ქართული ენის ასპექტების კვლევა დესკრიფციული და ფუნქციონალური გრამატიკის ჭრილში ; - კომუნიკაციის განვითარება და დარღვევები	6		30	X
13	კლინიკური პრაქტიკა II: ენის შეფასება და ინტერვენცია	სავალდ.	ნ.ცინცაძე	ხმის და მეტყველების მოქნილობის დარღვევები	6		30	X
14	კლინიკური პრაქტიკა III: მეტყველება და ორალურ- მოტორული დარღვევები: შეფასება და ინტერვენცია	სავალდ.	ჟ. კანოსა დიასი, თ. ჭინჭარაული	- მეტყველების განვითარება და დარღვევები; - ორალურ- მოტორული განვითარება და დარღვევები	6		60	X
15	კლინიკური ინტერვიუების პრაქტიკუმი	სავალდ./ა რჩ.	ნ. მეფარიშვილი		6		32	X
16	განვითარების ფსიქოლოგიის აქტუალური საკითხები	სავალდ.	მ. წერეთელი		6		30	X
17	განვითარება და დარღვევები ადრეულ ბავშვობასა და მოზარდობაში	სავალდ./ა რჩ.	ხ. დოლიძე		6		34	X
18	ალტერნატიული და აუგმენტატიური კომუნიკაცია	სავალდ./ა რჩ.	ჟ. კანოსა დიასი, ა. მატოსი, თ. უჩანეიშვილი	ენისა და მეტყველების ბიოსამედიცინო ასპექტები	6		32	X
19	ქართული ჟესტური ენის პრაქტიკული კურსი	სავალდ./ა რჩ.	თ. მახარობლიძე	ქართული ენის ასპექტების	6		32	X

				კვლევა დესკრიფციული და ფუნქციონალური გრამატიკის ჭრილში				
20	სამაგისტრო ნაშრომი	სავალდ.			18			X